წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 9

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 24 ივნისი

2022 წლის 14 ივნისს, გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია,დარეჯან დადიანი,მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა, სოლომონ სარია, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია, ნანა ლემონჯავა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მერის მოადგილე თამარ ბელქანია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და აპარატის თანამშრომლები, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის დირექტორი გიორგი ჭანია, საზოგადოება „წალენჯიხელის“ წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12[00] სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 13[00] საათზე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

   მომხსენებელი:**რომან კვარაცხელია,** წალენჯიხის საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. **,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

   მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თეა სარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. **„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

   მომხსენებელი: **თამარ ბელქანია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

4. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების**

შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **ივანე ბურდული,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში /იჯარით/ აუქციონის ფორმით გაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

8.ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

მომხსენებელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

9.გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.წალენჯიხის ზღვაიას დასახლების შესასვლელში არსებული ხეივნისთვის იაშა მესხიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილობის თაობაზე;

მომხსენებელი: **ომარ ქარდავა,** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

10.სხვადასხვა

საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ . სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი სახით კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგი. ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომან კვარაცხელიამ. მან საკრებულოს წევრებს მოკლედ გააცნო, რეგლამენტში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტი. აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ და „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელდა ცვლილება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით, რამაც აუცილებელი გახადა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ამასთან, რეგლამენტში არ იყო განსაზღვრული საკრებულოს მორიგი სხდომების ჩატარების დრო, რაც პრობლემებს ქმნიდა რეგლამენტით განსაზღვრული, საკითხების განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით. რომან კვარაცხელიამ, შესთავაზა საკრებულოს წევრებს, რომ მორიგი სხდომების ჩატარების დროდ განისაზღვროს ყოველი თვის ბოლო პარასკევი.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილება N25.

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. ამ ცვლილებით ბიუჯეტში გაიწერა მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებული უფასო სასადილოების ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები, შეიცვალა ზედა ზღვარი ნაცვლად 100 000 ქულისა, დადგინდა 120 000 ქულა. ასევე განისაზღვრა ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N26

მოისმინეს: 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების

წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამარ ბელქანიამ. მან საკრებულოს წევრებს გააცნო თუ რა ცვლილება შევიდა 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში. ამ ცვლილებით გაიწერა მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებული უფასო სასადილოების ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები, შეიცვალა პროგრამით მოსარგებლეთა სოციალური ქულის ზედა ზღვარი, ნაცვლად 100 000 ქულისა, დადგინდა 120 000 ქულა. ასევე განისაზღვრა ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები. ამასთან, დადგინდა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებიდან გამონაკლისის დაშვების წესიც, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სოფლის წარმომადგენელთა მომართვის საფუძველზე, „სათნოების სახლის“ დირექტორის ბრძანების შესაბამისად და ეს კატეგორია არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამით მოსარგებლეთა საერთო ოდენობის 10 %-ს.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ კითხვით მიმართა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ დირექტორს გიორგი ჭანიას თუ რა კრიტერიუმებით და რა სამართლებრივი აქტით ხელმძღვანელობდნენ აქამდე, რასაც გიორგი ჭანიამ უპასუხა, რომ ხელმძრვანელობდნენ 2013 წელს საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებით. კრიტერიუმები თითქმის იგივე იყო, თუმცა სამართლებრივი აქტი იურიდიულად იყო დასახვეწი, რამაც აუცილებელი გახადა ახალი აქტის შემუშავება.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ კითხვით მიმართა გიორგი ჭანიას ჰქონდათ, თუ არა ინფორმაცია, სტატისტიკურად რამდენმა შეიძლება დააკმაყოფილოს ეს კრიტერიუმები და რამდენით შეიძლება გაიზარდოს ბენეფიციართა რაოდენობა, ფინანსურად რამდენად არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ამისთვის მზად. გიორგი ჭანიამ უპასუხა, რომ მნიშვნელოვან გაზრდას ბენეფიციარების ოდენობისა არ ელოდებიან, მცირეოდენი ზრდისთვის მერია ფინანსური დახმარების სრული მზადყოფნა გამოთქვა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამარ ბელქანიამ მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის დირექტორს გიორგი ჭანიას თავდაუზოგავად და პირნათლად შესრულებული საქმიანობისათვის.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N27.

მოისმინეს: 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა და აღნიშნა, რომ ამ ცვლილებით სწორდება ტექნიკური შეცდომა, კერძოდ 2022 წლის 13 ივნისის საკრებულოს სხდომაზე მიღებულ ნორმატიულ აქტებში (მერიის სამსახურების დებულებებში) ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 18 ივლისი, ნაცვლად 11 ივლისისა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე , ხმათა უმრავლესობით (მომხრე 13 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია,თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია,ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია) წინააღმდეგი-8 (დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია,ბესიკ ფარცვანია, დათა კუკავა,სოლომონ სარია, ნანა ლემონჯავა) მიღებულ იქნა „ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილება N28.

მოისმინეს: 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ და აღნიაშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს შესაბამის კომისიაზე. კომისიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან ამოღებულ იქნას ქ. ჯვარი, ფიფიას ქუჩაზე მდებარე ობიექტი (კოდი 47.14.34.246).

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე , ხმათა უმრავლესობით (მომხრე 18 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, დათა კუკავა, სოლომონ სარია, ნანა ლემონჯავა, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია,ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია), წინააღმდეგი-3, (თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია,ბესიკ ფარცვანია) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულება N33.

მოისმინეს: 6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში, /იჯარით/, აუქციონის ფორმით გაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.